მიწისქვეშა წყლების დინამიკა და მისი გავლენა გრუნტის სტაბილურობაზე

ბექა ედიბერიძე

ელ-ფოსტა: beka.ediberidze400@ens.tsu.edu.ge
გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
მისამართი: 0179, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N1

სემინარი ეხება მიწისქვეშა წყლების ჰიდროდინამიკურ და საინჟინრო ასპექტებს, აგრეთვე მათ მიერ გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედებას გრუნტის სტაბილურობაზე. ნაშრომში განხილულია მიწისქვეშა წყლების წარმოშობის, კლასიფიკაციის, მოძრაობის მექანიზმების, ინფილტრაციისა და ფილტრაციის პროცესების თავისებურებები, ასევე გრუნტის წყლების კვების წყაროები, ტემპერატურული და ქიმიური რეჟიმი. ყურადღება ეთმობა მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების ურთიერთქმედებას, წყაროების წარმოქმნის პირობებსა და წყალგამტარი ქანების თვისებებს. სემინარში წარმოდგენილია იმ თანამედროვე კვლევითი მეთოდების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ხშირად გამოიყენება მიწისქვეშა წყლების შესწავლისათვის. განხილულია მიწისქვეშა წყლების მიერ გამოწვეული უარყოფითი პროცესებისა (მეწყერი, კარსტი, სუფოზია, ბურცვა და დენადი ქანები) და აღნიშნულ პროცესებთან გამკლავების საინჟინრო მიდგომები. სემინარის მიზანია, წარმოაჩინოს მიწისქვეშა ჰიდროდინამიკური პროცესების მჭიდრო კავშირი გრუნტის სტაბილურობასთან, აგრეთვე გააძლიეროს ამ სფეროს კვლევის მნიშვნელობა გეოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადი სივრცითი დაგეგმვის თვალსაზრისით.